გვარების შეცვლის და პასპორტიზაციის პრაქტიკა გალში

ასიმილაციური პოლიტიკის გაგრძელება

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

გვარების შეცვლის და პასპორტიზაციის პრაქტიკა გალში - ასიმილაციური პოლიტიკის გაგრძელება

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2025

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

მკვლევრები: ლელა ჯობავა, თეონა ფირანიშვილი

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: როლანდი რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლელა ჯობავა, თეონა ფირანიშვილი, „გვარების შეცვლის და პასპორტიზაციის პრაქტიკა გალში - ასიმილაციური პოლიტიკის გაგრძელება“, 2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

აფხაზეთში ომის დამთავრებიდან დღემდე, დე ფაქტო მთავრობების პოლიტიკა გალში მცხოვრები ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მიმართ პერიოდულად იცვლებოდა, თუმცა ის ყოველთვის დისკრიმინაციულ შინაარსს ატარებდა და გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა სისტემურ გარიყულობასა და მარგინალიზაციას განიცდიდა. დე ფაქტო ხელისუფლების დისკრიმინაციულ მიდგომებთან და მის მძიმე უფლებრივ და სოციალურ შედეგებთან დაკავშირებით ქართული მხარის უმოქმედობა გალის რაიონის მოსახლეობის ორმაგ მიტოვებულობას იწვევს.[1]

დე ფაქტო ხელისუფლების მიერ სამართლებრივ სტატუსთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შექმნილი სისტემური ბარიერები გალელებს საბაზო უფლებებზე წვდომის შესაძლებლობას ართმევს. ამ უფლებებს შორისაა გადაადგილების თავისუფლება, საკუთრების უფლება, არჩევნებში და ზოგადად საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და ა.შ.[2] 2005 წლიდან აფხაზეთში მოქმედებს ე.წ. კანონი „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების გამო, ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ აძლევს შესაძლებლობას მიიღოს აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეობა. ეს, თავის მხრივ, ბარიერია გალელებისთვის ჩაერთონ ადგილობრივ სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში, მიიღონ სახელმწიფო სერვისები, დაირეგისტრირონ საკუთრება და ა.შ. დღევანდელი მოცემულობით, გალელების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა[3] ბინადრობის მოწმობას ფლობს (დაახლოებით 21.000 ადამიანი)[4], რომლის საშუალებითაც შეუძლიათ ე.წ. საზღვრის კვეთა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა. გალელების დიდ უმრავლესობას არ აქვს „აფხაზური პასპორტი“, მათ ძირითადად საქართველოს მოქალაქის პასპორტი და პირადობის მოწმობა აქვთ, რასაც აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაცია არ აღიარებს. სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2021 წლის მონაცემებით, აფხაზური პასპორტი დაახლოებით მხოლოდ 1000 ადამიანს ჰქონდა გალში.[5]

---

[1] მალხაზ თორია, გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აპრილი, 2022. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/gali-kartul-da-afkhazur-istoriul-tsarmosakhvebshi-ormagi-marginalobis-anatomia; ნახეთ ასევე: თეონა ფირანიშვილი, ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, დეკემბერი, 2022, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/ormkhrivi-gamotovebis-adgilebi-uflebrivi-da-sotsialuri-gamotsvevebi-galsa-da-akhalgorshi

[2] იხ. ორმხრივი გამოტოვების ადგილები. გვ. 20-25.

[3] არ არსებობს ზუსტი მონაცემი, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს გალის რაიონში, გაეროს მონაცემებით, 47.000 დევნილი დაბრუნდა გალში 1994 წელს, თუმცა უფრო ახალი მონაცემებით (გალის ადმინისტრაციის 2016 წლის მონაცემებით), გალის მოსახლეობა, სავარაუდოდ, 25.000-30.000 შორის მერყეობს, იმის გათვალისწინებითაც, რომ ადგილობრივ მკვიდრთა თქმით, მაღალია მიგრაცია.

[4] საქართველოს სახალხო დამცველი, 2021 წლის ანგარიში, გვ. 332.

[5] იგივე.

აფხაზეთის ე.წ. კანონმდებლობის მიხედვით, ეთნიკურად ქართველებისთვის შეუძლებელია აფხაზური პასპორტის აღება. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა კი, რის გამოც გალელებს არ შეუძლიათ ე.წ. პასპორტის აღება, ის არის, რომ ეთნიკურად არააფხაზს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება, თუ ის 1999 წლამდე („აფხაზეთის დამოუკიდებლობის" გამოცხადებამდე) 5 წელი აფხაზეთში ცხოვრობდა. ეს ავტომატურად გამორიცხავს 1992-1993 წლებში გალიდან იძულებით გადაადგილებულ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც ეტაპობრივად დაბრუნდნენ 1994 წლიდან 1998 წლამდე და შემდეგ ისევ დევნილობაში აღმოჩნდნენ განახლებული შეიარაღებული დაპირისპირების გამო.[6]

2021 წელს აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის „დეპუტატმა" ვალერი კვარჩიამ წარადგინა ინიციატივა, რომლის მიხედვითაც მეგრული გვარების აფხაზური გვარებით შეცვლის შემთხვევაში, ეს ადამიანები შეძლებდნენ აფხაზური პასპორტის აღებას. ინიციატივა ითვალისწინებდა ცვლილებებს აფხაზეთის ე.წ. სამოქალაქო კოდექსში, ასევე სამოქალაქო აქტების შესახებ ე.წ. კანონში.

„სამოქალაქო აქტების შესახებ კანონის" 66-ე მუხლის მიხედვით:

1. „აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც არიან ეთნიკური აფხაზები (აბაზა), XIX-XX საუკუნეებში ანტიაფხაზური ეროვნული პოლიტიკის შედეგად დაკარგული აფხაზური ეროვნების პირდაპირ შთამომავლებს, აქვთ უფლება აღიდგინონ აფხაზური ეროვნება და გვარი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წარდგინებით, აფხაზეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული აფხაზური ავთენტური გვარების ჩამონათვალის (შემდგომში - აფხაზური ავთენტური გვარების ჩამონათვალი) შესაბამისად.
2. აფხაზური ეროვნებისა და გვარის აღდგენა შესაძლებელია პირის მიერ თვრამეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ.
3. თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ აფხაზური ეროვნებისა და გვარის აღდგენა დასაშვებია მშობლების (ან ერთი მშობლის, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ფაქტობრივად ზრუნავს მასზე) ან მეურვის განაცხადის საფუძველზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით, ბავშვის სურვილის სავალდებულო გათვალისწინებით. გამონაკლისია 10 წლამდე ბავშვები, რომელთა აზრის გათვალისწინება სავალდებულო არ არის.
4. პირებისთვის, რომლებიც აღნიშნულია ამ მუხლის 1 ნაწილში და არ დაუკარგავთ საკუთარი აფხაზური ავთენტური გვარი აფხაზური

[6] თეონა ფირანიშვილი, ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, დეკემბერი, 2022, 23. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/ormkhrivi-gamotovebis-adgilebi-uflebrivi-da-sotsialuri-gamotsvevebi-galsa-da-akhalgorshi

ავთენტური გვარების ჩამონათვალის მიხედვით, აფხაზური ეროვნების აღდგენა ხორციელდება ამ თავის დადგენილი წესით.

მუხლი 66.2. აფხაზური ეროვნებისა და გვარის აღდგენის საფუძვლები

1. აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების, რომლებიც ეთნიკური აფხაზები (აბაზა) არიან, აფხაზური ეროვნებისა და გვარის აღდგენის საფუძველს წარმოადგენს სურვილი, აღადგინონ საკუთარი ეროვნული თვითიდენტობა და ისტორიული სამართლიანობა."

„კანონპროექტის" ინიციატორ ვალერი კვარჩიას თქმით, აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება გვარის ან ეროვნების შეცვლის გზით შეეძლო ადამიანს, რომელსაც ერთ-ერთი მშობელი ჰყავდა აფხაზი ეროვნების, თუმცა „კანონი" არ არეგულირებდა იმ ადამიანებისთვის ეროვნების დაბრუნებას, რომლებსაც არ აქვთ აფხაზეთის მოქალაქეობა და ცხოვრობენ აფხაზეთში. აქ იგულისხმება აფხაზი ხალხი, რომელიც მთელი მსოფლიოს გარშემო ცხოვრობს და ათეულობით წლების წინ გადასახლდნენ აფხაზეთიდან, ასევე, სამურზაყანოელი აფხაზები, რომლებსაც იძულებით შეუცვალეს ეროვნება. მისი განმარტებით, ამ კატეგორიაში შედიან ეთნიკურად აფხაზები (აბაზები), რომლებიც არიან პირდაპირი შთამომავლები იმ დევნილების, რომლები კავკასიის ომის ან რუსეთ-ოსმალეთი ომების შედეგად იძულებით გადაასახლეს აფხაზეთიდან, და ასევე მე-19-მე-20 საუკუნის სხვა მოვლენების პერიოდში შეუცვალეს გვარები, და სურთ საკუთარი გვარების და ეროვნების დაბრუნება.[7] ამავე შინაარსის ცვლილება შეეხო ე.წ. სამოქალაქო კოდექსის 47-ე მუხლსაც. ცვლილების მიხედვით, აფხაზ და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს, საშუალება ეძლევათ „აღიდგინონ აფხაზური ეროვნული კუთვნილება".[8] **2023 წლის 7 დეკემბერს ორივე ეს ცვლილება დე ფაქტო პარლამენტმა ერთხმად მიიღო.[9]**

სტატიაში წარმოდგენილია გალის რაიონის მოსახლეობის განწყობები და მოსაზრებები ე.წ. პასპორტიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ამ მიზნით, 2024 წლის აპრილი-ივნისის პერიოდში ჩატარდა კვლევა ქალაქ გალში და გალის რაიონის 6 სოფელში (ზემო ბარღეფი, სიდა, საბერიო, ლეკუხონა, ჭუბურხინჯი, ოტობაია). კვლევაში მონაწილეობა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის 18 რესპონდენტმა მიიღო (25-60 და 60-90 წლის), მათი კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების მიზნით, მათ ნამდვილ სახელებს არ ვასაჯაროებთ. რესპონდენტებმა გაგვიზიარეს მოსაზრებები ე.წ. აფხაზური პასპორტის აღების

---

[77] **Самурзаканские абхазы смогут восстановить национальную принадлежность:** https://apsadgil.info/news/society/samurzakanskie-abkhazy-smogut-vosstanovit-natsionalnuyu-prinadlezhnost-/

[8] https://www.radiotavisupleba.ge/a/31763486.html; გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი გალის რაიონში, DRI, 2021, 3.

[9] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.apsnypress.info/ru/home/novosti/item/8815-parlament-utverdil-pravo-vosstanovleniya-abkhazskoj-natsionalnosti-i-familii

საჭიროებასთან და გვარების გადაკეთების ახალ მიდგომასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეს პროცესი სტატიაში შეფასებულია ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან, საერთაშორისო და რეგიონულ უფლებრივ ინსტრუმენტებზე დაყრდობით.

გალელების პასპორტიზაცია - აფხაზეთის გადაუწყვეტელი პრობლემა

გალელების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა აფხაზეთის დე ფაქტო სისტემაში წლების განმავლობაში დისკუსიის და პოლიტიკის ცვლილების საგანი იყო და გადაწყვეტილება ამ საკითხზე დღემდე არ არის მიღებული. 2010 წელს, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა აფხაზური ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, გალის მოსახლეობას მაინც მისცა „აფხაზური პასპორტები“ გამარტივებული წესით. მაშინ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა (20.000-ზე მეტმა გალელმა) ე.წ. აფხაზური პასპორტი მიიღო.[10] 2013 წელს, ბაღაფშის შემდგომმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ანქვაბმა გაცემული პასპორტები ჩამოართვა გალის მოსახლეობას და ისინი აფხაზურ დე ფაქტო სისტემაში კვლავ გაურკვეველი სტატუსით აღმოჩნდნენ. სწორედ ამ დროიდან იწყება ე.წ. ფორმა 9-ის გაცემა, რასაც გალელები იყენებდნენ გადაადგილებისთვის, დე ფაქტო არჩევნებში მონაწილეობისა და სხვა სამოქალაქო პროცესებში ჩართვისთვის. 2017 წლიდან ფორმა 9 ჩაანაცვლა ბინადრობის მოწმობამ, რასაც მხოლოდ გადაადგილების დანიშნულება შემორჩა. ამ მოწმობით გალელებს არ შეუძლიათ განკარგონ საკუთრების უფლება, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, ან ჩაერთონ სხვა სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში. ბინადრობის მოწმობის განახლება გალელებს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ უწევთ, რაც გულისხმობს აფხაზურ დე ფაქტო სისტემაში მძიმე ბიუროკრატიულ და კორუფციულ პროცესებში თავის გატანას.[11]

პასპორტიზაციის პოლიტიკის შემდგომი ეტაპი იყო 2019-2020 წლებში დაინიცირებული ე.წ. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მოწოდებით, ის ქართველები, რომლებიც დაიბრუნებენ მათ ნამდვილ „აფხაზურ წარმომავლობას“ და გახდებიან „სამურზაყანოელი აფხაზები“, მიიღებენ აფხაზურ პასპორტებს და დე ფაქტო მთავრობა მათ რუსული პასპორტების მიღებაშიც დაეხმარება. ამ ინიციატივის მხარდამჭერი ჯერ კიდევ 2014 წლიდან იყო გალის რაიონში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო“, რომელიც

---

[10] პოლიტიკური ტრანზიციები აფხაზეთში და დღევანდელობა - ინტერვიუ აფხაზ სამოქალაქო აქტივისტთან, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 19 სექტემბერი, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/politikuri-tranzitsiebi-afkhazetshi-da-dghevandeloba-interviu-afkhaz-samokalako-aktivisttan

[11] თეონა ფირანიშვილი, ორმხრივი გამოტოვების ადგილები - უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, დეკემბერი, 2022, 23. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/ormkhrivi-gamotovebis-adgilebi-uflebrivi-da-sotsialuri-gamotsvevebi-galsa-da-akhalgorshi, იხ ასევე: ქართველები გალში — უცხოელები საკუთარ მიწაზე

მხარს უჭერს „ისტორიული სამართლიანობის აღდგენას“, რაც გულისხმობს გალში მცხოვრები მეგრელებისთვის აფხაზური წარმომავლობის დაბრუნებას. ამ საზოგადოების თავმჯდომარის განცხადებით, 2014 წლიდან, ანუ „სამურზაყანოელი აფხაზების საბჭოს“ შექმნიდან 2017 წლამდე, 500-მა ადამიანმა გამოთქვა ძირძველი აფხაზური გვარისა და ეროვნების დაბრუნების სურვილი. მათგან 300-ს უკვე მიეცა ამის შესაძლებლობა. 2017-2018 წლების განმავლობაში მოქალაქეობა მიიღო და თავის ეთნიკურ ფესვებს დაუბრუნდა კიდევ 139 ადამიანი“.[12] „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭოს“ თავმჯდომარე ედიშერ ინალ-იფა აცხადებს, რომ მათ ჩაატარეს გამოკითხვა, და გაირკვა, რომ დაახლოებით 5000 გალელ ქართველს აფხაზური ფესვები აქვს, მაგრამ იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ ისინი იძულებით „გააქართველა“.[13]

თუმცა, როგორც ირკვევა, გალის მოსახლეობაში არც ამ ინიციატივის შემდგომ გაზრდილა აფხაზური პასპორტის მფლობელთა რაოდენობა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, გალის რაიონში აფხაზური პასპორტი მხოლოდ 1130 ადამიანს აქვს, 21500-მდე ადამიანს კი ბინადრობის მოწმობა აქვს.[14] გალის რაიონის ადმინისტრაციის დე ფაქტო ხელმძღვანელის თქმით, გალის რაიონიდან მოსახლეობის მზარდი მიგრაცია უპერსპექტივობას და დოკუმენტაციის არქონას უკავშირდება. ფილიას სიტყვებით, გალის რაიონში 2023 წელს 137 ბავშვი დაიბადა, თუმცა ოფიციალურად 59-ის დაბადების მოწმობა გაიცა.[15] დოკუმენტაციის მოპოვებასთან დაკავშირებულ ბარიერებზე ფილია ღიად საუბრობს და „საკანონმდებლო ცვლილებების“ საჭიროებაზე უთითებს.[16] ფილიას თქმით, აფხაზური გვარების მინიჭების და ამის საფუძველზე „პასპორტის“ მიღების პროცესი ნელა მიმდინარეობს. [17]

გალელების განწყობები გვარის ცვლილებასთან დაკავშირებით

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების პოზიციები სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. პირველ კატეგორიაში ხვდება რესპონდენტების უდიდესი ნაწილი, ვინც პრინციპულად ეწინააღმდეგება გვარის შეცვლას; ისინი, ვისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს, ქართველად იქნებიან საბუთებში მოხსენიებულები თუ აფხაზად, რადგან უიმედოდ არიან განწყობილი პოლიტიკური პროცესების მიმართ და აკრიტიკებენ როგორც სოხუმის, ისე თბილისის პოლიტიკას. და მესამე, ძალიან

[12] https://www.radiotavisupleba.ge/a/გალელი-აფხაზები-აფხაზობას-იბრუნებენ/29378086.html

[13] https://dfwatch.net/gali-residents-urged-renounced-georgian-ethnicity-acquire-abkhazian-passport-50754

[14] გალის რაიონიდან მოსახლეობის გადინების მხრივ მძიმე სიტუაციაა - ფილია, https://www.radioatinati.ge/regioni/article/84550-galis-raionidan-mosakhleobis-gadinebis-mkhriv-mdzime-situaciaa-filia.html

[15] გალიდან მოსახლეობის გადინების მხრივ მძიმე მდგომარეობაა - დე ფაქტო ადმინისტრაცია, რადიო თავისუფლება, 2024. https://www.radiotavisupleba.ge/a/32842174.html

[16] Struggling for survival: challenges faced by Georgians in Abkhazia discussed with Konstantin Pilia, 2024. https://www.youtube.com/watch?v=ff7IjruQeXk

[17]გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტაციის საკითხი გალის რეგიონში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. 2021. გვ. 29.

მცირე კატეგორია ადამიანებისა, ვისაც მიაჩნია, რომ თუკი აფხაზეთის „მოქალაქეობის“ მიღება მათ უფლებრივ მდგომარეობას გააუმჯობესებს, მაშინ ეს მისაღებია.

გვარის შეცვლის მოწინააღმდეგეები ამ ინიციატივას წლების განმავლობაში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სისტემური დისკრიმინაციის გაგრძელებად მიიჩნევენ და მათთვის ეს დაუშვებელია:

> „ეს არის ისევე ცხადი, როგორც შავით თეთრზე. შეუძლებელია დავიჯერო, რომ იმ ყველაფრის მერე, რასაც ჩვენ ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა გამოგვატარეს, ახლა გაჩნდომოდათ იმის კეთილი სურვილი, რომ ჩვენ - ქართველებს - გაგვიმარტივონ აფხაზეთში ცხოვრება. 20 წელია ვმუშაობ მასწავლებლად და ჩემი ხელფასი და შესაძლებლობები აფხაზ მასწავლებლებთან შედარებით ორჯერ ნაკლებია. წლებია ეს ძალადობრივი, დისკრიმინაციული პოლიტიკა ხორციელდება ჩვენს - ქართველების - მიმართ, ამიტომ მე პირადად არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ჯერ გვარი გადავიკეთო, შემდეგ კი ავიღო აფხაზური პასპორტი. გვარის გადაკეთების გარეშეც არ მინდა აქაური მოქალაქეობა. სოფლის მეურნეობის გამოწვევებთან გამკლავებაში რომ დაგვეხმარონ, ეგ უფრო გვჭირდება. ფაროსანა, საირიგაციო სისტემის მოწყობა, სახნავ-სათესი მიწების რეგენერაცია და რიგი სხვა პრობლემები არსებობს გალის რაიონში“, – კაცი, 52 წლის, სოფელ ნაბაკევიდან.

65 წლის ქალი სოფელ ოტობაიადან, რომლის სახლზეც გადის საოკუპაციო ზოლი, ამბობს, რომ უკვე წლებია, რაც არ შეუძლია საქონლის სადგომით ან თხილნარით ისარგებლოს, რომელიც ერთ დროს მისი სახლის ნაწილი იყო. რუსი ჯარისკაცები არც ამის უფლებას აძლევენ და არც „საოკუპაციო ზოლთან“ მიახლოებისას. მისი შვილი აფხაზის მეუღლეა და მას აფხაზეთის მოქალაქეობაც აქვს. „ეს ცხოვრება არ არის და მჯერა, რომ ჯოჯოხეთი აქ შეიძლება არსებობდეს, ჩვენსავე ცხოვრებაში. ამად მიქციეს მე ამ რუსებმა ცხოვრება. საკუთარი მიწის ნაკვეთის გამოყენება არ შემიძლია. ძმის მონახულებაც კი არ შემიძლია, რომელიც აქედან ზუსტად 200 მეტრის გადასწვრივ ცხოვრობს ორსანტიაში. ჩემი შვილი მთხოვს, რომ გადავიკეთო გვარი და ყველაფერი კარგად იქნება, მომცემენ პასპორტს. რა ვუთხრა ჩემს ადამიანობას, მე თუ ახლა გვარი შევიცვალე, ახლა დაიწყეს ჩვენზე ზრუნვა, თუ უნდათ, რომ სულ მთლად გაგვააფხაზონ, ან გაგვარუსონ?“

გალის 54 წლის მკვიდრის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საბჭოს (სამურზაყანო საბჭოს) წევრები აცხადებენ, რომ ბევრმა გამოთქვა სურვილი თავისი „ისტორიული“ გვარი დაებრუნებინა, სინამდვილეში ბევრმა ამ საბჭოს არსებობის შესახებაც კი არ იცის: „მე იმიტომ ვიცი ამ საბჭოს არსებობის შესახებ, რომ ქალაქში ვცხოვრობ და 2014 წელს, ჩემმა შვილებმა დაამთავრეს სკოლა და ხშირად გვიწევდა საბუთებისთვის სგბ-ში (აფხაზური სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) ყოფნა“. მისი და მისი მეუღლის თქმით, 2014 წლამდე მათ ჰქონდათ აფხაზეთის პასპორტი, რომელშიც მის ეროვნებად აფხაზი ეწერა. „როდესაც დავინახე, რომ ჩემს ეროვნებად აფხაზი ჰქონდათ ჩაწერილი (ჯერ კიდევ გვარების შეცვლის

პოლიტიკის შემოღებამდე), მე დავუბრუნე ეს პასპორტი და ვუთხარი, რომ არ ვგრძნობდი თავს აფხაზად და ეს უბრალო მოტყუება იყო. სგბ-ში მითხრეს, რომ პრივილეგიებით ვისარგებლებდი, როგორიცაა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სახლის ჩემს სახელზე გადმოფორმებას შევძლებდი, გადასახადებისგან გავთავისუფლდებოდი, სამსახურში დავწინაურდებოდი და ა.შ., თუმცა, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი ამაზე და შემდეგი 3 წელი ველოდე ე.წ. ბინადრობის მოწმობას, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის ქონის საფუძველზე მომცეს“. ეს დოკუმენტი მის მფლობელს აძლევს უფლებას იცხოვროს აფხაზეთში და თავისუფლად გადაადგილდეს ენგურის საკონტროლო გამშვებ პუნქტზე, თუმცა ეს სტატუსი არ აძლევს მფლობელს ქონების ყიდვის, ან გაყიდვის უფლებას და ასევე არ აძლევს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

„მე ვუთხარი, რომ მთელი ცხოვრება ვიყავი ქართველი და 50 წლის ასაკში ვერ გავხდებოდი აფხაზი. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზების საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს“. მისივე თქმით, არც მისი ცოლი დასთანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა და კერძო საკუთრების ლეგიტიმურად დამტკიცება. „თუმცა ჩვენ არ გვჯერა, რომ აფხაზური პასპორტის ქონა, ძირეულად შეცვლის ჩვენს ცხოვრებას“. მისი თქმით, უკვე 30 წელია დაპირებები დაპირებად რჩება და მათი უფლებრივი მდგომარეობა არ იცვლება.

გამოკითხულ ახალგაზრდებს და უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მათთვის სულერთია, ან ამჯობინებენ აფხაზური პასპორტის აღებას, ასევე მოჰყვებოდა პოლიტიკური ნიჰილიზმი, ან მოსაზრება, რომ მათ არ აინტერესებთ, რა ხდება პოლიტიკაში და სულერთია, რომელი მთავრობა გაიმარჯვებს, როგორც აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში, ისე საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში. იქიდან გამომდინარე, რომ ოფიციალური თბილისის მხრიდან ძალიან დაბალია ინტერესი აფხაზეთში მცხოვრები ქართველების გამოწვევებისა და პრობლემების მიმართ, შესაბამისად, ისინი ცდილობენ მოერგონ არსებულ რეალობას.

„მე, როგორც 3 შვილის დედა შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახიდან, ვფიქრობ, რომ იქ, სადაც დავრჩით (აფხაზეთში), უფრო დიდია რაღაცის გაკეთების შანსი, ვიდრე იქ, სადაც ცხოვრების თავიდან აწყობა მოგვიწევს. მით უმეტეს, ამდენწლიანი მივიწყებულობის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ვარ, ჩემთვის “ქართული მხარე” უფრო უცხოა, ვიდრე აფხაზეთი. რა ვქნა, სადაც იზრდები, იქაურობა ხდება შენი სახლი, და არა ის, რაზეც გეუბნებიან, რომ შენი სახლია. აქაა ჩემი სახლი, შესაბამისად, აუცილებელია, რომ მქონდეს ადგილობრივი პასპორტი. თუმცა ჩემთვისაც კი რთული აღმოჩნდა ამის გაკეთება“, - ამბობს 27 წლის ქალი გალიდან. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარი აფხაზური წარმოშობისაა და გალის გარდა სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფლებში ცხოვრობენ მისი გვარის წარმომადგელები, რომლებიც თავს აფხაზებად მიიჩნევენ, მას აფხაზური პასპორტი ჯერჯერობით არ აუღია.

„მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე 3000 რუბლი (100 ლარი) გადავიხადე და განვაცხადე, რომ მინდა აფხაზეთის მოქალაქე გავხდე, იმის საფუძველზე, რომ გავხდებოდი აფხაზური გვარის, ეს პროცესი რატომღაც გაიწელა. ხან დღესასწაული, ხანაც რა დაემთხვა. ხან საღებავი ან ქაღალდი არ აქვთ საპასპორტო დეპარტამენტში. ალბათ სოხუმში წასვლა ღირს იუსტიციის სამინიტროში, რათა დავაჩქარო ეს პროცესი. ამდენი დრო ტყუილად ველოდე“.

48 წლის რეპონდენტი ამბობს, რომ პასპორტიზაციის პროცესის მთავარი მიზანი აფხაზების რაოდენობის გაზრდაა.

„ჩემი წინაპრები აფხაზები იყვნენ, მაგრამ მე აქ, გალის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დავიბადე და გავიზარდე, დედა აქაური მყავს, მამა კი ოჩამჩირის რაიონიდან მყავდა. ჩემი იდენტობა ქართულია, ოჯახიც ქართული მყავს. შემომთავაზეს აფხაზური პასპორტის აღება, თუმცა უარი ვუთხარი მარტივი მიზეზის გამო - მე თავს ვთვლი ქართველად. თუმცა ჩემმა ძმამ აიღო აფხაზური პასპორტი სხვადასხვა მიზეზის გამო. ის სოფლის მეურნეობას ეწევა და მისი ბიზნესისთვის უფრო გაამარტივებს საქმეს აფხაზური პასპორტის ქონა. როცა ქართველი აწარმოებს დიდ ბიზნესს, ეს შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს და გამოძებნონ მიზეზები, რომ მუშაობაში ხელი შეგიშალონ, დაგიწესონ იმაზე დიდი გადასახადები, ვიდრე გეკუთვნის, ან უბრალოდ წაგართვან ბიზნესი. მას აქ უნდა ცხოვრება და იქიდან გამომდინარე, რომ უკვე წლებია ქართული მხრიდან ველოდებით დევნილთა საცხოვრებელს, ვერ მივიღეთ ის, ამიტომ ჩემი ძმა გაბრაზებულია და მესმის, რომ იქ, სადაც ცხოვრობს, ცდილობს ნორმალური უფლებები მოიპოვოს. თითქოს ეს აფხაზური პასპორტი მეტ უფლებას მისცემს. ჯერ არ ვიცი“.

29 წლის რესპონდენტის თქმით, მისთვის მიუღებელია გვარის შეცვლა. „ეს იდენტობის დაკარგვას ნიშნავს, რაც ჩვენს თავს უკვე დიდი ხანია, ხდება. თუ ამდენი ურთულესი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ამ იდენტობის შენარჩუნება, ახლა რატო უნდა ვთქვათ მასზე უარი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხრიდან ამ საკითხთან მიმართებაში არანაირი ინტერესი არ ჩანს. ეს არის ჩვენი, ერთეულების - დამოუკიდებელი ბრძოლა. მამაჩემს და ჩემს ძმას მოუწიათ, რომ თავი აფხაზებად ჩაეწერათ და მიეღოთ აფხაზეთის მოქალაქეობა“. მას, როგორც აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობას, აქვს ბინადრობის მოწმობა, რომელსაც 5 წლის ვადა აქვს. ვადის გასვლის შემდეგ, მას 10-წლიანი ბინადრობის მოწმობა მისცეს, და არა „მოქალაქეობა“ - როგორც იყო ნათქვამი ბინადრობის მოწმობის გაცემის დროს. „ჩემთვის პასპორტის ქონას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ, ქართველებს, რომლებიც თითქმის 30 000-ნი ვართ, აქ გადაწყვეტილების მიღების და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არავინ მოგვცემს. „გვარების დაბრუნების“ დისკუსიამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია აფხაზური საზოგადოების ნაწილში. მათთვის ერთდროულად საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მიცემა დიდ საფრთხეს წარმოადგენს“.

ამდენად, როგორც ჩვენი რესპონდენტების ისტორიები აჩვენებს, მათი დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება გვარის შეცვლის პოლიტიკას და მას საკუთარი ეთნიკური იდენტობის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ პოლიტიკურ ნაბიჯად მოიაზრებს.

მათი დიდი ნაწილი არ აპირებს დე ფაქტო კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ პირობის მიღებას და არჩევს დარჩეს არსებულ უსამართლო სტატუს კვოში და საბაზო უფლებების გარეშე განაგრძოს ცხოვრება და ადაპტირდეს. ამის მიუხედავად, ცალსახაა, რომ გალის ქართულ მოსახლეობაში ჩანს მაღალი პოლიტიკური უიმედობა მომავლის მიმართ. ასევე იკვეთება მაღალი უნდობლობა როგორც დე ფაქტო ხელისუფლების, ისე საქართველოს ხელისუფლების მიმართ. საინტერესოა, თუ რა გავლენას იქონიებს ეს ისტორიული მიტოვებულება, გაუცხოება და პოლიტიკური ნიჰილიზმი გრძელვადიანად ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ ცნობიერებასა და თვითაღქმაზე. ცხადია, რომ რესპონდენტების ისტორიებში, კონკრეტული გვარის და ოჯახის ისტორიიდან, ან ზოგჯერ თვითგადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე, შეგვხვდა გვარის შეცვლის რამდენიმე შემთხვევა. ამგვარი შემთხვევები მწირია და ჩვენი რესპონდენტები მათზე გულისწყვეტით და დარცხვენითაც კი საუბრობენ.

როგორია გვარის შეცვლის პროცესი პრაქტიკაში?

აფხაზური გვარის მიღების მსურველმა სგბ-ში უნდა დაწეროს განცხადება, რომ სურს, ამჟამინდელი გვარის შეცვლის საფუძველზე, გადაეცეს აფხაზეთის მოქალაქეობა. თუ გვარი აფხაზური სტილისაა, მაგალითად, თარბაია, ლაკირბაია, მარშანია, ინალიშვილი, კვეკვესკირი, ყოლბაია, ზუხბაია, ეზუგბაია, ბუთბაია, ხინტბაია, ქეცბაია, კაკუბავა, კუპრავა და ა.შ., მათთვის აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება უფრო მარტივია, ვიდრე მეგრული გვარის მატარებლებისთვის. რესპონდენტების თქმით, ეს პროცესი შეიძლება ძალიან მარტივად, რამდენიმე კვირაშიც დასრულდეს. პირი წერს განცხადებას, რომ სურს „დაიბრუნოს ძირძველი გვარი“ და ამის საფუძველზე ითხოვს, რომ მას გადასცენ აფხაზეთის მოქალაქეობა. ამას თან ერთვის საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა - ეს აფხაზური „პასპორტის“ აღების მთავარი მოთხოვნაა.

ამის შემდეგ პირი იხდის გარკვეულ თანხას. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, 2016 წელს მან გადაიხადა 2600 რუბლი, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ ეს თანხა ლავირებს. ამჟამინდელი გადასახადი დადგენილი არ არის. თანხის გადახდის შემდეგ, განმცხადებელი ელოდება პასპორტს და ლოდინის დრო შეიძლება 2 კვირა, ან თვეები, და ზოგჯერ წელიც გაგრძელდეს. თუ პირი მეტ ფულს გადაიხდის და საპასპორტო დეპარტამენტში გავლენიან ნაცნობებსაც ჩარევს, პასპორტის აღების პროცესი მეტად ჩქარდება. გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო 6 წელია რესპონდენტთაგან არავის მიუმართავს საპასპორტო დეპარტამენტისთვის, დაზუსტებით რთულია იმის თქმა, თუ როგორია ამ პროცესის ამჟამინდელი დინამიკა.

კვლევის ფარგლებში ჩვენ მიერ გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი არც არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რას მოიაზრებს გვარების შეცვლა და ამის საფუძველზე აფხაზეთის „მოქალაქეობის“ მიღება. გამოკითხულთა უმეტესობის თქმით, გვარების შეცვლის პროცესი უფრო იძულებითი ხასიათისაა, ვიდრე ხალხის სურვილზე დაფუძნებული და, ამდენად, მიუღებელია.

უფლებრივი განზომილება

უფლება სახელსა და გვარზე იდენტობის უფლების განუყოფელი ნაწილია და მისი ხელშეუვალობის დაცვა იძულებითი ასიმილაციის თუ სხვა დისკრიმინაციული პოლიტიკებისგან ადამიანის უფლებათა სამართლის ნაწილი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდანვე გახდა. ადამიანის ღირსების და პიროვნების აღიარება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედად იქცა, რომლის ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი გახდა ადამიანის უფლება თავისუფლად აირჩიოს სახელი/გვარი. ამ უფლებაში სახელმწიფოს ჩარევა ადამიანის ღირსების შელახვად მიიჩნევა.[18] ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა საერთაშორისო სამართლებრივმა სივრცემ ერთგვარად უარყო და დაგმო ნაცისტური გერმანიის პრაქტიკა, რომელიც ებრაელებს არ აძლევდა გვარის და სახელის არჩევის შესაძლებლობას და ყველას იძულებითად ნიშნავდა ებრაელად, იმისათვის, რათა მათი იდენტობა ყველასთვის აშკარა ყოფილიყო საზოგადოებიდან მათი გარიყვის და სეგრეგაციის მიზნით.

დღეს მოქმედ რეგიონულ და საერთაშორისო უფლებრივ ინსტრუმენტებში ადამიანის სახელი რამდენიმე უფლებასთან კავშირში განიხილება: პირველ რიგში ის უკავშირდება პირადი ცხოვრების უფლებას, რომელიც თითქმის ყველა სამართლებრივ ინსტრუმენტშია გათვალისწინებული; გარდა ამისა, უმცირესობების და მკვიდრი ჯგუფების უფლებათა სამართალი ითვალისწინებს ამ ჯგუფებისთვის სპეციფიკურ უფლებას - სახელის უფლებას, რომელიც, თავის მხრივ, ყველა სამართლებრივ დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული. ასევე, სახელის უფლება სასამართლო პრაქტიკაში განიხილება დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში. სტატიის ამ თავში მიმოხილული და გაანალიზებულია რელევანტური სამართლებრივი დოკუმენტები და მათთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში სახელის უფლება არ არის განსაზღვრული, მაგრამ ის ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მერვე მუხლის - პირადი ცხოვრების უფლების ნაწილად ჩამოყალიბდა. მასთან დაკავაშირებით სასამართლო დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტშიც მსჯელობს. ევროპის საბჭოს მოგვიანებით მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტში, რომელიც ეროვნული უმცირესობების უფლებრივ საკითხებს არეგულირებს, აღიარებულია ეროვნული უმცირესობების უფლება სახელზე/გვარზე და მის გამოყენებაზე უმცირესობების ენაზე.[19]

გარდა ამისა, გაეროს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები, ასევე ინტერამერიკული და აფრიკული ინსტრუმენტები უფრო დაზუსტებულად განსაზღვრავენ სახელის უფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 24-ე მუხლი განმარტავს, რომ ყველა ბავშვს აქვს სახელის უფლება. სახელის უფლება

[18] *Fernand de Varennes* & Elz.bieta Kuzborska* , Human Rights and a Person's Name: Legal Trends and Challenges, *Human Rights Quarterly* 37 (2015) 977–1023.

[19] ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების შესახებ, მუხლი 11(1).

ასევე მოიაზრება პირადი და ოჯახის უფლების ნაწილად (მუხლი 23). ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია ასევე განმარტავს, რომ სახელის უფლება პერსონალურ უფლებათა რანგში გადის და ქორწინების დროს მეუღლეებს მათი თავისუფლად არჩევის უფლება აქვთ.[20] ასევე, ბავშვთა უფლებათა კონვენცია განმარტავს, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობები, არამართლზომიერი ჩარევის გარეშე.[21]

გარდა ამ სავალდებულო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა, სარეკომენდაციო ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები ასევე განამტკიცებს სახელის უფლებას და აღიარებს მას ადამიანის იდენტობის ნაწილად, რომლის არამართლზომიერად ხელყოფაც დაუშვებელია. მაგალითად, ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ლინგვისტურ უფლებებთან დაკავშირებით, განამტკიცებს, რომ ეროვნულ უმცირესობებს მათ მშობლიურ ენაზე სახელის და გვარის გამოყენების უფლება აქვთ და რომ ეს მათი იდენტობის ნაწილია.[22] აქვე განმარტებულია, რომ სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ ჩაწერონ სახელი და გვარი ამ ქვეყნის დამწერლობის შესაბამისად, მაგრამ ეს უნდა მოხდეს უმცირესობების ენობრივი სისტემის და ტრადიციის შენარჩუნებით. ოსლოს რეკომენდაციებში აღიარებულია, რომ ეს არის ადამიანის საბაზო უფლება, რომელიც დაკავშირებულია მის ენასთან და იდენტობასთან და მათი ნების საწინააღმდეგოდ, იძულებით, სახელის/გვარის შეცვლა დაუშვებელია.

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ყველაზე უფრო ზუსტად განმარტავს უფლებას სახელზე/გვარზე და იდენტობაზე, რასაც მოწმობს მრჩეველთა კომიტეტის სარეკომენდაციო დასკვნებიც კონკრეტული წევრი ქვეყნების პრაქტიკასთან დაკავშირებით. მაგალითად, შეფასების 4 ციკლის ფარგლებში ევროპის საბჭოს მრჩეველთა კომიტეტი (2001 წლიდან 2018 წლამდე) მოუწოდებდა ლატვიას, რომ დაეცვა კულტურული იდენტობის და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები ლატვიაში მცხოვრებ ეთნიკურ რუსებთან დაკავშირებით. პასპორტის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის (პირადობის მოწმობის) აღების მსურველ ეთნიკურ რუსს ლატვია ავალდებულებს გვარის შეცვლას ლატვიური გრამატიკული და ორთოგრაფიული წესებით, რაც გულისხმობს არალატვიურ გვარებზე ლატვიური სუფიქსების დამატებას.[23] კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამგვარი მოთხოვნა შლის ეროვნულ და პერსონალურ იდენტობას და შეუსაბამოა იდენტობის დაცვის სტანდარტებთან ჩარჩო კონვენციის ქვეშ. იგივე პოლიტიკა აქვს სლოვაკეთს და რუმინეთს უნგრულ უმცირესობებთან მიმართებით. ბულგარეთი ასევე ავალდებულებდა თურქ

[20] CEDAW, მუხლი 16.
[21] CRC, მუხლი 8.
[22] The Oslo Recommendations regarding the Linguistic Rights of National Minorities & Explanatory Note, OSCE, 1998. 14.
[23] Fourth Advisory opinion on Latvia, para 110-112.

უმცირესობებს მიეღოთ ბულგარული გვარები, თუმცა ამგვარი პოლიტიკა მან ეტაპობრივად შეარბილა მრჩეველთა კომიტეტის რეკომენდაციების კვალდაკვალ.[24]

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, გვარის და იდენტობის დაცვის საკითხი სასამართლოს მიერ მერვე მუხლის, ანუ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების ქვეშ არის მოაზრებული და მას არაერთი საქმე განუხილავს სწორედ გვარის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოს მთავარი სტანდარტი ამ შემთხვევაში ის არის, რომ სახელმწიფოს ჩარევას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, მაგალითად, საჯარო წესრიგის შენარჩუნება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, თაღლითობის პრევენცია, ბავშვის კეთილდღეობის დაცვა. სასამართლო განსაკუთრებით ფრთხილია იმ პოლიტიკების მიმართ, რომლებიც მიზანში იღებენ ეთნიკურ/კულტურულ ჯგუფებს და ამგვარ პოლიტიკას მე-14 მუხლის ფარგლებშიც განიხილავს (დისკრიმინაციის აკრძალვა).[25]

მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიმართ აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციას არ დაუწესებია საყოველთაო სავალდებულო მოთხოვნა გვარის შეცვლასთან დაკავშირებით, იმ პირობებში, როდესაც უპასპორტოდ და უსტატუსოდ ცხოვრება გალის მოსახლეობას უუფლებო მდგომარეობაში აქცევს, ამგვარი ინიციატივები ირიბი იძულების ფორმას იღებს. გალის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ დრომდე არ იღებს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ასიმილაციურ შემოთავაზებას გვარის ცვლილების თაობაზე, თუმცა თავად ამგვარი პოლიტიკა, რომელიც უარს ათქმევინებს ადამიანს საკუთარ ეთნიკურ იდენტობაზე, წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის საბაზო უფლებასთან, დაცული იყოს მისი ღირსება და იდენტობა.

გაჭიანურებული კონფლიქტის პირობებში დე ფაქტო რეჟიმის მიერ უფლებების დარღვევის პრაქტიკებზე პასუხისმგებლობა ფაქტობრივი კონტროლის მქონე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციას ეკისრება. რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპირებულ რეგიონებში ეფექტიანი კონტროლის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტი, პასუხისმგებელია ყველა იმ უფლებრივ დარღვევაზე, რაც მისი კონტროლის პერიოდში ხდება. ევროპულმა სასამართლომ 2021 წლის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციის განგრძობადი ეფექტიანი კონტროლი სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიაზე და აქ მყოფ დე ფაქტო ორგანოებზე, ასევე მათი ძლიერი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე, აქცევდა რუსეთს პასუხისმგებელ ქვეყანად.[26] ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, არ არის საჭირო ეფექტიანი კონტროლის

[24] Fourth opinion on Bulgaria, para 120-124.

[25] Bulut v. Turkey (2013); Kiss v. Hungary (2010); Gorzelik and Others v. Poland (2004).

[26] *Georgia v. Russia (ii),* paras 165-175.

მქონე ქვეყანას სრული კონტროლი ჰქონდეს ყველა იმ ადმინისტრაციულ პროცესზე, რომლის დროსაც ადამიანის უფლება ირღვევა.[27]

გალელების იძულებითი ასიმილაციური პოლიტიკა

ასიმილაცია არის პროცესი და მდგომარეობა, როცა ერთი ეთნიკური ჯგუფი სხვასთან ურთიერთობის პროცესში გადის ცვლილების იმ პროცესებს, რომელთა შედეგადაც იღებს მეორე ეთნიკური ჯგუფის კულტურულ და თვითმაიდენტიფიცირებელ მახასიათებლებს. ამგვარად, ქრება ეთნიკურ ჯგუფებს შორის კულტრულ-ეთნიკური განსხვავებები და, როგორც წესი, უმცირესობის წარმომადგენელი ეთნიკური ჯგუფი კარგავს თავის უნიკალურ (განმასხვავებელ) ნიშნებს. ასიმილაცია ცალმხრივი პროცესია.[28] ინტეგრაციის პოლიტიკისგან განსხვავებით, როდესაც ხდება ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სოციოეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაახლოება, ასიმილაციის თეორიაში ხდება დომინანტურ ჯგუფთან შერწყმა და თვითიდენტიფიკაციის ნიშნების დაკარგვა.[29]

ეროვნების შეცვლის და გვარების დაბრუნების პოლიტიკა გალის რაიონის მოსახლეობისთვის ასიმილაციური პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც 30 წელია მიმდინარეობს და გამოხატულია სხვადასხვა დისკრიმინაციულ შეზღუდვაში, მათ შორის, განათლების სისტემის რუსიფიკაციასა და ქართული ენის ეტაპობრივად და სრულად ამოღებაში როგორც საგანმანათლებლო, ისე საჯარო ცხოვრებიდან.[30] ქართულენოვანი სკოლების რუსიფიკაციის პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა და 2022 წლიდან გალის რაიონის ყველა სკოლის ყველა კლასი სრულად რუსულენოვანი გახდა.[31] თავად დე ფაქტო მთავრობის განმარტებით, განათლების სისტემის რუსიფიკაციას ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, ეს იყო საქართველოს სახელმწიფოსთან გალელების კავშირების შემცირება, რადგან გალელების ძირითადი ნაწილი თბილისში განაგრძობს უმაღლესი განათლების მიღებას, მუშობას და ინარჩუნებს პირად კავშირებს. მეორე მხრივ კი, ქართული კულტურული გავლენების შემცირება აფხაზეთში, რაც შეიძლებოდა მოეტანა ქართულ სახელმძღვანელოებს და „ქართულ იდეოლოგიას". განათლების პოლიტიკის რუსიფიკაცია საბოლოო ჯამში გალში მცხოვრებ ახალგაზრდებში მშობლიური ენის ცოდნას ართულებს და ადგილობრივი მცხოვრებლები უკვე

---

[27] *Cyprus v. Turkey*, App 25781/94 (ECHR, 28 June,1996) 21; *Loizidou v Turkey*, para 52; Cullen Anthony and Wheatley Steven, 'Human Rights of Individuals in De Facto Regimes' (2013) 13 Human Rights Law Review 691^728, 705.

[28] Małgorzata Budyta-Budzyn□ska, Adaptation, integration, assimilation – an attempt at a theoretical approach, 2011. ხელმისაწვდომია: http://migracje.civitas.edu.pl/migracje/index.php/en/adaptation-integration-assimilation

[29] იგივე. 49.

[30] თეონა ფირანიშვილი, ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე გალსა და ახალგორში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023. https://socialjustice.org.ge/ka/products/khelmisatsvdomoba-khariskhian-ganatlebaze-galsa-da-akhalgorshi

[31] იგივე, გვ. 3.

აქტიურად საუბრობენ იმაზეც, რომ გალში მცხოვრებ ახალგაზრდებს ქართული ავიწყდებათ, და მათ სულ უფრო მეტი ბარიერი ექმნებათ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებისას.

აფხაზური გვარების მიღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები პრაქტიკულად ქართველებისგან საკუთარ ეთნიკურ კუთვნილებაზე უარის თქმას მოითხოვს. ცხადია, რომ ერთეულ შემთხვევებში, შესაძლოა, არსებობდეს გვარებისა და ოჯახების სპეციფიკური გამოცდილებები გალში, რომელიც ამგვარ ცვლილებას მისაღებს გახდის. თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, გალში მცხოვრები ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა უარს ამბობს ამგვარი პირობების მიღებაზე და კანონის მიღების მიუხედავად, მისი რეალური აღსრულება არც ხდება. თუმცა, აშკარაა, რომ გალის მოსახლეობაში ძალიან მაღალია პოლიტიკური უიმედობა, გაუცხოება და მიტოვებულობის განცდა, რომელსაც გრძელვადიანად შეიძლება ჰქონდეს გავლენა მათ პოლიტიკურ ცნობიერებასა და თვითიდენტიფიკაციაზე. სწორედ ამიტომ, არსებითია, საქართველოს სახელმწიფოს ჰქონდეს სპეციალური პოზიტიური პოლიტიკა გალში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოების, უფლებების, იდენტობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.